ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ70. 70242462**

თარიღი:**02/09/2024**

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 119-ე, 122-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის N19 განკარგულების ,,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემაზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. განხორციელდეს განმეორებით და გაიცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქუჩა N7-ში მდებარე სავაჭრო ცენტრის შენობის მეორე სართულზე 530.51კვ.მ ფართი, წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთთან ერთად, მათ შორის: ს/კ 35.01.45.078.01.502-160.53კვ.მ შენობის ფართი; ს/კ 35.01.45.078.01.503 -209.45 კვ.მ შენობის ფართი და ს/კ 35.01.45.078.01.504 -160.53კვ.მ შენობის ფართი, ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 5 წლის ვადით.

2. უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემისას საწყისი წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ღირებულების (50880.00 ლარი) 60%-ით - 30528.00 ლარი, ,,ბე“ და ,,ბიჯი“ - 10-10 პროცენტი.

3. ელ-აუქციონის დაწყების დრო 2024 წლის 6 სექტემბერი, 12:00 საათი და დასრულების დრო ამავე წლის 16 სექტემბერი, 12:00 საათი.

4. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი:ქ.საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა N3).

ლევანი ივანაშვილი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი